ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუშინ მშთ ახალმა კომპლექსმა სტარტი აიღო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 44 (4554)

1972 წ. 2 მარტი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## პირველი შერკინებები

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ეზოში გაკრული განცხადება დილიდანვე იტყობინებოდა, რომ 1 მარტს მშთ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება დაიწყებოდა და პირველ მსურველებს კომბინატის სტადიონზე იწვევდა.

სპორტკლუბ „ივერიის" სტადიონი გაზაფხულის პირველ დღეს ასე მორთული არავის უნახავს — სპორტსაზოგადოებათა ალმები, პლაკატები საზეიმო განწყობილებას ქმნიდა, სანიმუშოდ მოვლილი სარბენი ბილიკები, სატყორცნი სექტორები პირველი სტარტებისთვის მზად იყო.

კომბინატში პირველმა ცვლამ მუშაობა დაამთავრა, მაგრამ საწარმოს მუშა-მოსამსახურენი შინისკენ კი არა, სტადიონისკენ გაეშურნენ. ბევრს თვითონ სურდა ძალა ეცადა, ბევრიც მოასპარეზეთა სანახავად მოვიდა. სტადიონზე იყვნენ კომბინატის დირექტორი შ. ბაბუნაშვილი, მისი მოადგილე, სპორტკლუბ „ივერიის" გამგეობის თავმჯდომარე გ. ხიტურიძე, კომბინატის ასობით თანამშრომელი.

კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიის წევრები, სტადიონის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რ. მამაჯანოვი, ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ბ. კოვალიოვი, მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსის მოადგილე ო. დურგლიშვილი და სხვები საასპარეზოდ შერჩეულ ადგილებზე განაწილდნენ.

ნორმატივების ჩაბარება დაიწყო. თავის გამოჩენა ყველას სურდა. სხვა რომ არაფერი, ზეიმს საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბოქორიძე, ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე, მისი მოადგილე ო. კალაძე, პირველი მაისის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. პატარაია და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

კომბინატში 3 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურეა. მათგან 1850 ფიზკულტურელი ?ახლავთ, რომელთა შორის 12 სპო... ს ოსტატი და 50 პირველთანრიგოსანია. ეს ცოტა როდია. და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბრძოლაში 200-მდე კაცი ჩაება.

ხელყუმბარის ტყორცნის სექტორში 20 კაცმა მოიყარა თავი. როცა ნორმატივების ჩაბარება დამთავრდა, გაირკვა, რომ 9 კაცს ნორმატივი ოქროს ნიშანზე ჩაებარებინა, სხვს — ვერცხლის ნიშანზე, ისე კი ყველას მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილების თანამშრომელმა ა. სიმონიშვილმა აჯობა — ხელყუმბარა 47 მეტრზე ტყორცნა.

ბირთვის კვრაში 28 კაცი ცდიდა ძალას. ჩვენს იქ ყოფნაში ოქროს ნიშნის ნორმატივს გადააჭარბა მთავარი მექანიკოსის განყოფილების ხარატმა ს. დოშოიანმა, რომელმაც 9,85 მ აჩვენა. ვერცხლის ნიშნის ნორმატივზე უკეთეს შედეგებს 10 კაცზე მეტმა მიაღწია.

ამ დროს ქალები 100 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მქსელავ ი. სოფიანკოვას ოქროს ნიშნის ნორმატივის შესასრულებლად მხოლოდ 0,1 წამი არ ეყო.

სარბიელზე აგრეთვე ვიხილეთ მთავარი მექანიკოსის განყოფილების ზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ზ. რაზმაძე, ცენტრალური სარემონტოს ხარატი ვ. ხარემოვი, საქსოვი საამქროს მუშა ვ. ცხვარაძე და სხვ.

ყველაზე ორგანიზებულად მაინც მთავარი მექანიკოსის განყოფილების კოლექტივი მოვიდა ამ განყოფილების უფროსის ნ. ივანაშვილის ხელმძღვანელობით.

— ფიზკულტურის ყადრი ჩვენც ვიცით, ამ კომპლექსის გარეშე არც ერთი თანამშრომელი არ დავრჩებით, — გვითხრა ივანაშვილმა.

გვჯერა, კომბინატში მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ფართოდ გაიშლება და ამ საწარმოს მაგალითს სხვა ფიზკულტურული კოლექტივებიც მიბაძავენ.

ო. ბელაშვილი.

* * *

სურათებზე: ნორმატივების ჩაბარების მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





## დასახეს სამეერმისო გეგმები

### კალინინის რაიონის ფიზკულტურული აქტივის კრება

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად კალინინის რაიონში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ამ ბოლო ხანს თვალსაჩინოდ გარდაიქმნა: წინა ხუთწლედში ფიზკულტურელთა რიცხვმა 23 ათასს მიაღწია და მოსახლეობის 25 პროცენტი შეადგინა. რაიონის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა წარმატებით დაიწყეს მეცხრე ხუთწლედიც. შარშან გეგმით გათვალისწინებული 4621 თანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 7184. აქედან 103 პირველთანრიგოსანია, 12 — სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. წინსვლას დიდად შეუწყო ხელი ოქროყანაში სპორტული კომპლექსისა და რაიონის ცენტრში მოზარდთა სპორტული სკოლის ახალი ორდარბაზიანი ნაგებობის მწყობრში ჩადგომამ.

სპორტულ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისთვის რაიონი ბევრჯერ დაჯილდოვდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი დროშით. ამ და კიდევ სხვა წარმატებებზე ილაპარაკა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. მძელურმა აქტივის კრებაზე, რომელიც ახლახან რაიონის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა.

კრება საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში რაიონის სპორტსმენთა მონაწილეობისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს მიეძღვნა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფიზკულტურულ კოლექტივებში აღმავლობით ჩატარდა შეჯიბრებები სპარტაკიადის პროგრამით. 12 სახეობაში გამართულ რაიონულ სპარტაკიადაში 5 ათასზე მეტმა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა. საქალაქო სპარტაკიადაში მოსწავლეთა ნაკრებმა პირველად მოიპოვა III საპრიზო ადგილი.

საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის კალინინის რაიონის წარგზავნილებმა რ. რურუამ, შ. ქველიაშვილმა, პ. შამუგიამ, გ. მონიავამ, ნ. ქაჯაიამა, ზ. ბენიძემ, ვ. ასლანიდიმ და ნ. რუხაძემ. მათ საქართველოს სპორტულ დელეგაციას 37,08 ქულა შესძინეს. აქედან 17 ქულა სპარტაკიადის ოქროს მედლის მფლობელის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის რ. რურუას პირად ანგარიშზე მოდის.

მომხსენებელმა თქვა, რომ რაიონში მასობრივი და პოპულარულია ახალგაზრდობის სპორტული თამაშები, სპორტული და თავდაცვითი მუშაობის დათვალიერება, მძლეოსნური კროსები, ჯანმრთელობისა და სიჭაბუკის სპარტაკიადები და სხვ. სპორტის სახეობებიდან განსაკუთრებით ვითარდება ფეხბურთი, რასაც საკუთარი სტადიონის აგებამაც შეუწყო ხელი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის გუნდმა შარშან II ადგილი მოიპოვა თბილისის II ჯგუფის კოლექტივებში, ხოლო III ჯგუფის გუნდების ტურნირში გაიმარჯვეს სამხატვრო აკადემიის ფეხბურთელებმა.

მომხსენებელმა კარგი მუშაობისთვის ქებით მოიხსენია თეატრალური ინსტიტუტის, სახელმწიფო ბანკის, ცენტრალური ტელეგრაფის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, თბილისის ელექტროქსელის, მ. თოიძის სახელობის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის, 1-ლი, 39-ე და 41-ე საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

გ. მძელურმა ნაკლოვანებებიც ამხილა. მან აღნიშნა, რომ ბევრმა კოლექტივმა თავი აარიდა რაიონის სპარტაკიადაში მონაწილეობას; ბაზების უქონლობის გამო ჩამორჩება ველოსპორტი, ცურვა და ჭიდაობა; მოსაგვარებელია სტადიონზე მისასვლელი ტრანსპორტისა და სასმელი წყლის გაყვანის საკითხი; ბევრგან არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში; კიბერნეტიკის ინსტიტუტის 800-კაციან კოლექტივში ფიზკულტურის მეთოდისტი არა ჰყავთ; ამ საკითხის გადაწყვეტას თავს არიდებენ ცეკავშირის გამგეობის ხელმძღვანელებიც, თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველომ კი 7 მეთოდისტის შტატი შეამცირა. გაუგებრობით დაშვებული ეს შეცდომა დღემდე გამოუსწორებელია.

მომხსენებელმა აღნიშნა პედაგოგ-ორგანიზატორების სუსტი მუშაობაც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მან გააკრიტიკა 48-ე, 49-ე, 53-ე, 54-ე, 56-ე და 57-ე სახლმმართველობების, თქვა, რომ ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას მუშაობა საავტომობილო გზების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, ბოტანიკის ინსტიტუტის, 43-ე, 44-ე, 47-ე და 50-ე საშუალო სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებში...

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ სპორტსკოლის დირექტორი ვ. ჯამბაზიშვილი, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის მეთოდისტი ნ. ბოჭორიშვილი, სახლმმართველობების ინსპექტორ-ორგანიზატორი თ. თუმანიშვილი, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ვ. შუბლაძე, 41-ე სკოლის დირექტორი მ. კოსტოვი, საქართველოს პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. ქველიაშვილი, რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის წარმომადგენელი ბ. სავჩენკო.

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

თ. გაჩეჩილაძე.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### საუკეთესო სპორტული... ოჯახი

ქარხანა „ვოლნას" მესამე საამქროს სპარტაკიადის დებულებაში ნათქვამი იყო: „გამოვლინდეს საუკეთესო სპორტული ოჯახი". და აი, საამქროს ფიზორგმა მ. შტუკინმა გამოაცხადა, რომ დამთავრებულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ზეინკალმა ალექსეი გოროდნიჩევმა და მისმა მეუღლემ ლიუდმილამ. მათ ბევრ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. ფრენბურთელთა გუნდის კაპიტანი და კალათბურთელი ალექსეი წარმატებით გამოდიოდა სათხილამურო ბილიკებზეც, სადაც ლიუდმილამაც გამოიჩინა თავი.

საქარხნო სპორტულ შეჯიბრებებში მთელი ოჯახით მონაწილეობა ამ საწარმოში ტრადიციად იქცა. მაგალითად, ხარატ ბორის ხელეზნიოვის ოჯახი სათხილამურო სპორტითა და ციგურაობითაა გატაცებული. მაგრამ ბორიას ყველაზე მეტად აკადემიური ნიჩბოსნობა უყვარს. შარშან მან რუსეთის საზოგადოება „სპარტაკის" სპორტსმენთა შეჯიბრებაში IV ადგილი დაიკავა.

ნოვგოროდი.

### პირველი თავმჯდომარის ხსოვნის თასზე

ცნობილი რევოლუციონერის, ამურის საოლქო საბჭოს პირველი თავმჯდომარის ფ. მუხინის ხსოვნის გარდამავალი თასი ვლადივოსტოკელმა ხელბურთელებმა დაისაკუთრეს. ტურნირში მონაწილეობდნენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უძლიერესი გუნდები.

ამიერიდან ეს მემორიალი ყოველწლიურად ჩატარდება.

ვლადივოსტოკი.

### შესწორება პროექტში

როცა მოლდავეთის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში ბენდერის აბრეშუმის კომბინატში სპორტულ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობა დაიწყო, ინჟინერთა ჯგუფმა წინადადება წამოაყენა პროექტში შეეტანათ კიდევ ერთი ახალი ბაზა — ხელოვნური საციგურაო ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობისთვის.

აბრეშუმის კომბინატში 4500 კაცი მუშაობს და ყოველი მესამე სპორტში მეცადინეობს. დირექციას მიაჩნია, რომ მთელი კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ საწარმოში სპორტსმენთა რიცხვი გაორკეცდება.

ბენდერი.

საკლესი მოგვითხრობს



### (სპარტაკიადის ფურცლები)

კასპი

კასპელ მეცემენტეთა სპარტაკიადა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. პროგრამაშია 12 სახეობა. უკვე დამთავრდა ტურნირები შაშში, ჭადრაკში, ბადმინტონში. 81 ქულით ლიდერობს გამოწვის საამქროს კოლექტივი.

ლ. ელისაბედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შჯეთ შნდა გამართულიყო

— ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილმა თბილისის ქალთა XVI სპარტაკიადამ ოთხ დღეს გასტანა. წლევანდელი შეჯიბრება ადრე დაიწყო და შედარებით ცოტა სახეობაც იყო გათვალისწინებული. შეიცვალა ასპარეზობის გამართვის მეთოდიც: ტურნირები საუწყებო იყო.

— შეჯიბრებები დაბალ დონეზე ჩატარდა. მაჩვენებლებიც დაბალი იყო, — გვითხრა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ.

სარბიელზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის", „განთიადის", „დინამოს", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივის", „სპარტაკისა" და განათლების განყოფილების კოლექტივები.



ფარიკაობასა და მშვილდოსნობაში შეჯიბრებები ფარიკაობის დარბაზში გაიმართა. ყოველ გუნდს 4-4 მოფარიკავე გამოჰყავდა. გაიმარჯვა ლ. ჩიქოვანმა („ბურევესტნიკი"), რომელმაც დამატებით ორთაბრძოლაში თანაგუნდელი ც. ტანანაშვილი დაამარცხა. III ადგილი დაიკავა ს. სვანიძემ („ბურევესტნიკი"). გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა „ბურევესტნიკი", II ადგილზეა განათლების განყოფილება, III — „სპარტაკი".



მშვილდოსანთა შეჯიბრებაში მხოლოდ სამი გუნდი მონაწილეობდა. 50 და 30 მეტრზე გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლ. ასატუროვამ („ბურევესტნიკი") — 605 ქულა, რომელმაც ჩამოიტოვა ქ. წურწუმია („ლოკომოტივი") — 557 ქულა. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი წილად ხვდათ რკინიგზელ მშვილდოსნებს.



ცურვაში ტურნირი „შრომითი რეზერვების" აუზში გაიმართა. სამწუხაროდ, გუნდებმა სახელდახელოდ შეაგროვილი მოცურავეები გამოიყვანეს სარბიელზე. ამ სპორტსმენთა უმეტესობა ალბათ რამდენიმე თვეა წყალში არ ჩასულა. ამიტომ იყო, რომ ვერც ერთმა სპარტაკელმა და ბურევესტნიკელმა ვერ შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა. პირველი თანრიგის შედეგი სულ სამმა სპორტსმენმა აჩვენა. საუკეთესო იყო განათლების განყოფილების წარმომადგენელი ი. მარგიშვილი, რომელმაც გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (1.08,5 და 2.31,5).

პირველი თანრიგის ნორმატივით ორი გამარჯვება იზეიმა, აგრეთვე, მ. კირდიანოვამ („დინამო") 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.25,1 და 3.01,4).

პირველი თანრიგის შედეგი აჩვენა განთიადელმა ნ. კოსტიუჩენკომაც, რომელიც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მარგიშვილს 2 წამით ჩამორჩა.

სტარტზე გოგონების გვერდით ვიხილეთ ძველი გვარდიის წარმომადგენლები — წარსულში რესპუბლიკის უძლიერესი მოცურავეები — ნ. ჭუმბაძე, ნ. ჩოლარია და ე. მძინარიშვილი. პირველი ორი განათლების განყოფილების მოცურავეთა მწვრთნელად მუშაობს, მესამე — „შრომითი რეზერვებისა". ცხადია, მათ დიდ წარმატებას ვერ მოვთხოვდით. მიუხედავად ამისა, ნ. ჩოლარიამ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (1.27,8) II თანრიგის შედეგით II ადგილიც მოიპოვა, ხოლო შემდეგ თანაგუნდელებთან ერთად 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაშიც მეორე იყო — 5.47,3.



ტანვარჯიშში ექვსი გუნდი ასპარეზობდა. სრული შემადგენლობით განათლების განყოფილების, „ბურევესტნიკისა" და „ლოკომოტივის" კოლექტივები გამოვიდნენ. „სპარტაკიდან" და „განთიადიდან" ორ-ორი მონაწილე იბრძოდა, „დინამოდან" — ერთი, „შრომითი რეზერვების" გუნდი კი არ გამოცხადდა.

ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვა მ. მონიავამ (განათლების განყოფილება) — 74,85 ქულა. II ადგილზეა რ. ბერიკაშვილი („დინამო") — 74,2 ქულა, III — ვ. ვასილიევა („განთიადი") — 73,95 ქულა.

ოსტატობის კანდიდატებს შორის I ადგილზე გავიდა გ. გუგულაშვილი (განათლების განყოფილება) — 70,55 ქულა. მეორე იყო მ. კობერიძე (განათლების განყოფილება) — 69,4, მესამე — ნ. კიკონიშვილი („ბურევესტნიკი") — 67,75.

საერთო გუნდურ ჩათვლაში განათლების განყოფილების ტანმოვარჯიშეებმა გაიმარჯვეს.



წლევანდელმა გაჭიანურებულმა ზამთარმა მძლეოსანთა ტურნირს ხელი შეუშალა: ასპარეზობა მანეჟში მხოლოდ სამ სახეობაში ჩატარდა (გეგმა ცხრა სახეობას ითვალისწინებდა), რომლის სტარტებზე სულ 22 სპორტსმენი გამოვიდა. 60 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ვ. ქუთათელაძემ („ლოკომოტივი") — 7,7. 50 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო თ. კლდიაშვილი („ბურევესტნიკი") — 7,6 წამი, სიგრძეზე ხტომაში — ლ. გუკი („ბურევესტნიკი") — 518 სმ.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები.

სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს „განთიადის" სპორტსმენებმა. II ადგილზეა „ბურევესტნიკი", III — „დინამო".

საყურადღებოა, რომ „შრომითი რეზერვების" გუნდს მხოლოდ მოცურავეებმა მისცეს ჩათვლა, „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" კოლექტივებს — ტანმოვარჯიშეებმა.

დასანანია, რომ სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილი არ იყო მხატვრული ტანვარჯიში.

ლ. მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.
ა. გურასაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



# კოხტაგორის ფერდობებზე — მოზარდები

4 მარტს კოხტაგორის ფერდობებზე სტარტს აიღებს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოზარდთა პირველობა სამთოსათხილამურო სპორტში. საქართველოს წარმომადგენლებმა ამგვარ ტურნირებში შარშან და შარშანწინ წარმატებით იასპარეზეს: რამდენიმე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ჩვენები წლეულსაც კარგად მოემზადნენ. ბაკურიანში გაიმართა „დინამოს" რესპუბლიკური პირველობა, რომელმაც საკავშირო ტურნირის მონაწილენი დაასახელა.

რესპუბლიკური ასპარეზობა სამ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. უფროსი ასაკის (16-17 წლის) ჭაბუკთა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ ბაკურიანელი მოსწავლეები გ. ფანჯაკიძე, ა. და ლ. ბანდურები, ს. მიქაბერიძე, ნ. ჯეირანაშვილი. საშუალო ასაკში (14-15 წ.) თავი გამოიჩინეს თბილისელებმა გ. ლომინაძემ, კ. ურუშაძემ, ბაკურიანელებმა დ. სოტიშვილმა და ვ. ჯიჭოევამა. უმცროს ასაკში (11-13 წ.) საუკეთესო მომზადება გამოავლინა ბაკურიანელმა ვ. სანაკოევმა.

გოგონებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მასპინძლები მ. კოზანაშვილი, თ. მიქაბერიძე, ფ. გობოზოვა და ლ. ბარბარიანი.

ტურნირი სწრაფდაშვებით დაიწყო. შეჯიბრება უფროსი და საშუალო ასაკის ჭაბუკებისთვის გაიმართა. 1568-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 350 მ, 15 კარი) აბსოლუტურად საუკეთესო დრო (1.19,3) აჩვენა ურუშაძემ. მის ასაკობრივ ჯგუფში II ადგილზე გავიდა ლომინაძე — 1.21,8, III — სოტიშვილი — 1.23,4.

უფროსი ასაკის ჯგუფში გაიმარჯვა ფანჯაკიძემ — 1.20,7. ა. ბანდურმა მასთან 0,6 წამი წააგო. ლ. ბანდური III ადგილზეა — 1.23,0.

საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის გიგანტურ (1650 მ, 354 მ, 38 კარი) და სპეციალურ სლალომში (350 მ, 100 მ, 50 და 55 კარი) ბადალი არ ჰყავდა ლომინაძეს, რომელმაც შესაბამისად 1.39,2 და 1.33,1 აჩვენა. ლომინაძემ სპეციალურ სლალომში ორივე ცდა მოიგო. გიგანტურ სლალომში მეორე იყო ურუშაძე — 1.41,9, მესამე — ჯიჭოევი — 1.51,0. სპეციალურ სლალომში ეს ადგილები შესაბამისად ჯიჭოევსა (1.49,1) და სოტიშვილს (1.49,4) დარჩათ.

უფროსი ასაკის ჭაბუკებიც ამავე ტრასებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გიგანტურ სლალომში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ნ. ჯეირანაშვილი (1.43,0), ფანჯაკიძე (1.43,7), მიქაბერიძე — 1.45,8, სპეციალურ სლალომში კი ასე: ლ. ბანდური (1.28,6), ფანჯაკიძე (1.29,4), ა. ბანდური (1.29,8).

ყველაზე პატარა ბიჭებისთვის გიგანტური სლალომის ტრასა 450 მ იყო (სიმაღლეთა სხვაობა 165 მ, 18 კარი). აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ვ. სანაკოევი — 40,8, ნ. ბანდური — 42,5, ა. კოზანაშვილი — 43,2. სპეციალურ სლალომში (275 მ, 25 კარი) ნორჩებს თითო ცდის უფლება ეძლეოდათ. აქაც სანაკოევმა იმარჯვა — 44,1. კოზანაშვილმა (46,0) და ბანდურმა (48,0) კი ადგილები გაცვალეს.

10-11 და 12-13 წლის გოგონებისთვის ტრასები ერთნაირი იყო. გიგანტური სლალომის სიგრძე 300 მეტრს უდრიდა (14 კარით). უფროსებში „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა მ. კოზანაშვილმა (29,2), მომდევნო ადგილები კი მის თანაგუნდელებს თ. მიქაბერიძესა (30,0) და ლ. მოსესოვას (31,4) ხვდათ.

პატარებში იმარჯვეს გობოზოვამ (31,2), ბარბარიანმა (34,8) და მ. კოზანაშვილმა (40,0).

სპეციალურ სლალომში (250 მ, 20 კარი) პრიზიორები გახდნენ: უფროსებში — თ. მიქაბერიძე (29,8), ი. ნაგოგა (31,0), ნ. ჯანგობეგოვა (31,2), უმცროსებში: ბარბარიანი (31,4), გობოზოვა (31,5), კოზანაშვილი (35,0).

ვ. მიქაბერიძე.
(ჩვენი კორ.).

ბაკურიანი.

* * *

სურათზე: გ. ფანჯაკიძე სწრაფდაშვების ტრასაზე.

ო. გელაშვილის ფოტო.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

# 79 : 58

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის ერთი მატჩი.

ლენინგრადი. ჩემპიონატის ლიდერმა აუტსაიდერს — ვილნიუსის „სტატიბას" უმასპინძლა. ბრძოლა სრულიად მოულოდნელად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა გასტეხეს მეტოქის წინააღმდეგობა — 79:58 (34:28).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 16 | 15 | 1 | 1120—996 | 15 |
| ცსკა | 14 | 13 | 1 | 1184—955 | 13 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 14 | 8 | 6 | 997—932 | 8 |
| „კალევი" (ტარტუ) | 15 | 7 | 8 | 1070—1111 | 7 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 16 | 7 | 9 | 1204—1184 | 7 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 6 | 8 | 1053—1094 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 13 | 6 | 7 | 1000—973 | 6 |
| ასკ (კიევი) | 14 | 5 | 9 | 906—1019 | 5 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 14 | 3 | 11 | 941—1030 | 3 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 16 | 3 | 13 | 1089—1280 | 3 |

# მოლაშქრეთა რიგებში — მფრინავი ქალი

კომკავშირის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტების თაოსნობით ჩატარდა მოტოლაშქრობა მარშრუტით: სოხუმი — განთიადი — სოჭი — სოხუმი. 23 თებერვალს სოხუმში, ლენინის ქუჩაზე, სტარტი 20 მოტოციკლისტმა აიღო.

ლაშქრობაში პირველი აფხაზი მფრინავი ქალი მერი ავიძბაც მონაწილეობდა.

მოტომრბოლელები განთიადში დიდების ობელისკთან შეჩერდნენ. მათ აქ შეხვედრა მოუწყვეს მოსწავლეებმა, დამსვენებლებმა, ომის ვეტერანებმა... შემდეგ სპორტსმენები სოჭისკენ გაემართნენ.

24 თებერვალს კოლონა სოხუმში დაბრუნდა.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

მოტოსპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატები

# ჩვენი თინათინი



თინათინ ლეკვეიშვილს ახლა მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, მთელს მსოფლიოშიც კარგად იცნობენ. თბილისელმა გოგონამ ცურვა ბავშვობიდან შეიყვარა და სწავლისგან თავისუფალ დროს მწვრთნელ მ. ტატიშვილის ხელმძღვანელობით „დინამოს" დახურულ აუზში სპორტის ამ სახეობის დაუფლებას ახმარდა. საქართველოს, სსრ კავშირისა და კონტინენტის ჩემპიონის, რეკორდსმენის სახელის მოპოვებამდე ლეკვეიშვილმა რთული და ძნელი გზა განვლო.

თინათინისთვის პირველი ოლიმპიადა მეხიკოს თამაშები იყო. აქ იგი მსოფლიოს უძლიერესი მოცურავეების მხარდამხარ დადგა. ამას შემდეგ ბევრ ტურნირში ისახელა თავი, ლისაბონის ევროპული ჩემპიონატიდან კი შინ გამარჯვებული დაგვიბრუნდა.

ლეკვეიშვილმა დაუღალავი შრომით სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში კვლავ დაიმკვიდრა ადგილი. იგი გულმოდგინედ ემზადება მსოფლიოს ფორუმისთვის, რომელიც წლეულს მიუნჰენში შედგება.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, სწავლასა და სპორტში მოწინავე თინათინ ლეკვეიშვილი საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ეჭვი არ არის, რომ თინათინი წლეულსაც და შემდეგშიც კიდევ ბევრი გამარჯვებით გაახარებს გულშემატკივრებს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: დინამოელი თ. ლეკვეიშვილი (მარცხნივ) თბილისელ მოცურავეებს მომავლის ამოცანებზე ესაუბრება.

მ. ზარგარიანის ფოტო.



# სსრ კავშირის თასზე

გუშინწინ გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის მატჩები.

**სოჭი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ქუთაისის ტორპედოელები. პირველ ტაიმში გამართულ მწვავე ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. მაგრამ, დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, მოსკოველმა ფილიპოვმა ანგარიში გახსნა (47-ე წ.). შემდეგ მეტოქეებმა თითოჯერ ხიღეს ერთმანეთის კარი (ნიკონოვი — 65-ე წ., ოქროპირაშვილი — 75-ე წ.) და გამარჯვება მოსკოველებს დარჩათ — 2:1. ქუთაისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: კავაზაშვილი, ფრიდმანი, მირონოვი, რეხვიაშვილი, პეტროვი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი (ჭოლაძე), ჯ. სილაგაძე, ვეკუა (შელია), ხერხაძე, ამბარცუმიანი.

**სოჭი.** მოსკოვის „სპარტაკმა" დიდი ანგარიშით სძლია სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 5:1 (3:0). საინტერესოა აღინიშნოს, რომ სვერდლოვსკელთა კარში ლოგოფეტმა ორი გოლი გაიტანა და ორივე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

**ფოთი.** „ყაირათი" (ალმა-ათა)— „შინიკი" (იაროსლავლი) 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 64-ე წუთზე გაიტანა ოსიანინმა.

**ადლერი.** ასკ (დონის როსტოვი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 0:0.

**სოხუმი.** „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 0:0.

**ხოსტა.** „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი)—„ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0.

**ბაქო.** „ნევთჩი" (ბაქო) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0. ბურთი 37-ე წუთზე გაიტანა ბანიშევსკიმ.

**ლვოვი.** „კარპატი" (ლვოვი) — „პამირი" (დუშანბე) 1:0. სტუმართა კარი შესვენების შემდეგ აილო კოზინკევიჩმა.

გუშინ გამართული მატჩები ასე დამთავრდა: სოჭში — „დინამო" (კიევი)— „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 2:1, ხოსტაში — „ზენიტი" (ლენინგრადი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:0.

# იწყება რესპუბლიკური ჩემპიონატი

4 მარტს იწყება საქართველოს 1972 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. უფრო გვიან, 26 მარტს, ბრძოლაში ჩაებმებიან გათამაშების II ჯგუფის გუნდები.

I ჯგუფში მონაწილეობას მიიღებენ: „მეშახტე" (ტყიბული), „ლოკომოტივი" (სამტრედია), „სინათლე" (თბილისი), „სალხინო" (გეგეჭკორი), „კახეთი" (თელავი), „ვარკეთილი" (გარდაბანი), „დინამო" (ზუგდიდი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „მეტალურგი" (ზესტაფონი), „ეგრისი" (ცხაკაია), „ლოკომოტივი" (თბილისი), „ივერია" (ხაშური), „გიგანტი" (ლაითური), „სულორი" (ვანი), „სამცხე" (აწყური), „ისანი" (თბილისი), „ქართლი" (გორის რაიონი), ასკ (თბილისი), „შუქურა" (ქობულეთი), „ფეიქარი" (წულუკიძე), „განთიადი" (ბორჯომი), „კოლხეთი" (ხობი).

თუ I ადგილზე გასულ ორ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა, რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის ნეიტრალურ მინდორზე დაინიშნება დამატებითი მატჩი. საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი გაისად დაიკავებს ადგილს „ა" კლასის II ლიგაში იმ კოლექტივის ნაცვლად, რომელიც რესპუბლიკის გუნდებს შორის უარეს ადგილზე გამოვა.

თუ ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა სამ ან მეტ გუნდს, გამარჯვებულის გამოსავლენად ნეიტრალურ მინდორზე დაინიშნება ტურნირი ერთ წრედ. თუ გამარჯვებული ამჯერადაც არ გამოვლინდა, იმავე მინდორზე განმეორებითი შეხვედრები დაინიშნება.

მომდევნო ადგილებზე ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობის მქონე გუნდს. ამ მაჩვენებლის ტოლობის შემთხვევაში უპირატესობა მიეკუთვნება გუნდს, რომელსაც უპირატესობა ექნება თავის კონკურენტთან ჩატარებულ მატჩებში. თუ აღნიშნული კოლექტივების შეხვედრები ფრედაა დამთავრებული, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც გათამაშებაში მეტი მოგება ექნება.

I ჯგუფში ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდები 1973 წელს ითამაშებენ II ჯგუფში. ამ ოთხეულის ადგილების გამოსარკვევად ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში ბურთების სხვაობას მნიშვნელობა არ ექნება და ასეთი გუნდებისთვის დაინიშნება დამატებითი შეხვედრები ნეიტრალურ მინდორზე ერთ წრედ.

II ჯგუფის მონაწილენი დაყოფილი არიან ორ ზონად. I ზ ო ნ ა: „ცისკარი" (სიღნაღი), „განთიადი" (ცხინვალი), „ალაზანი" (გურჯაანი), „ჯავახეთი" (ახპინძა), „მესხეთი" (ახალციხე), „ვაზი" (გურჯაანი, შრომა), „მევენახე" (გურჯაანი, ვაზისუბანი), „შირაქი" (წითელი წყარო), „დურუჯი" (ყვარელი), „მევენახე" (ბოლნისი), „გარისი" (თეთრი წყარო), „ბახტრიონი" (ახმეტა), „მშენებელი" (წალკა), „გარეჯი" (საგარეჯო), „შევარდენი" (თბილისი), „არაგვი" (დუშეთი), „ჰერეთი" (ლაგოდეხი), „კოლმეურნე" (ტიბაანი); II ზ ო ნ ა: „სპური" (წალენჯიხა), „მადნეული" (ჭიათურა), „სალხინო" (მაიაკოვსკი), „განახლება" (ადიგენი), „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ), „ჩიხურა" (საჩხერე), „დინამო" (ოჩამჩირე), „სამგურალი" (წყალტუბო), „კახაბერი" (ხელვაჩაური), „კომეტა" (ფოთი), „განთიადი" (აბაშა), „ლელო" (დიდი ჯიხაიში), „ბახმარო" (ჩოხატაური), „დინამო" (ქუთაისი), „დიოსკურია" (სოხუმი), „იმერეთი" (თერჯოლა), „მზიური" (გალი).

II ჯგუფის ზონებში I ადგილებზე გასული გუნდები გაისად გადავლენ I ჯგუფში. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნა, მათ შორის დაინიშნება დამატებითი მატჩები ნეიტრალურ მინდორზე.

II ჯგუფის ზონებში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები გაისად ზონალურ შეჯიბრებებში ასპარეზებენ.

იმ გუნდებისთვის, რომლებიც გაერთიანებული არ არიან რესპუბლიკური გათამაშების I და II ჯგუფებში, ეწყობა შეჯიბრებები ადგილებზე, რაიონებსა და ქალაქებში. აქ გამარჯვებული გუნდები ტერიტორიული პრინციპით ქმნიან ზონებს, სადაც შეჯიბრება იწარმოებს ეტაპობრივად. გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ტურნირში და I-II ადგილებზე გასულნი გადავლენ რესპუბლიკური გათამაშების II ჯგუფში.

მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელი მორიგ მატჩზე არ დაიშვება. გუნდმა უნდა განიხილოს მისი საკითხი და თავისი გადაწყვეტილება კრების ოქმის სახით ორ დღეში გაგზავნოს ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციაში. გუნდის გადაწყვეტილების გარეშე მინდვრიდან გაძევებული მოთამაშის საკითხს ფედერაცია არ განიხილავს.

მინდვრიდან ორჯერ გაძევებულ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცემა ერთი წლით.

თუ მოთამაშემ მსაჯისგან მიიღო ორი გაფრთხილება, მას მექანიკურად მიეცემა დისკვალიფიკაცია ერთი თამაშით, შემდგომი გაფრთხილების შემთხვევაში ეს დისკვალიფიკაცია გაიზრდება სამ თამაშამდე, ხოლო მეოთხე გაფრთხილების შემთხვევაში ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცემა ერთი წლით.

იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრების ჩატარების ადგილზე არ იქნა დაცული სათანადო წესრიგი და ამ მიზეზით თამაში ჩაიშალა, ადგილობრივ გუნდს ჩაეთვლება წაგება, ხოლო სტადიონს დისკვალიფიკაცია მიეცემა გარკვეული ვადით. გუნდი, რომელიც თამაშის დროის დამთავრებამდე დატოვებს მინდორს, გათამაშებიდან მოიხსნება.

გუნდი, რომელიც თვითნებურად გამოეთიშება შეჯიბრებას გათამაშების დამთავრებამდე, გაისად ამავე ჯგუფში აღარ დაიშვება.

თუ გუნდი არ გამოცხადდა კალენდარულ მატჩზე, მას ჩაეთვლება წაგება, ხოლო ხელმეორე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოიხსნება გათამაშებიდან და სამერმისოდ კარგავს ამავე ჯგუფში მონაწილეობის უფლებას.

მაშ ასე, რესპუბლიკური ჩემპიონატი იწყება 4 მარტს. გთავაზობთ პირველი დღის შეხვედრათა კალენდარს:

„მეშახტე" (ტყიბული) — „კოლხეთი" (ხობი)
„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „განთიადი" (ბორჯომი)
„სინათლე" (თბილისი) — „ფეიქარი" (წულუკიძე)
„სალხინო" (გეგეჭკორი) — „შუქურა" (ქობულეთი)
„კახეთი" (თელავი) — ასკ (თბილისი)
„ვარკეთილი" (გარდაბანი) — „ქართლი" (გორის რაიონი)
„დინამო" (ზუგდიდი) — „ისანი" (თბილისი)
ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამცხე" (აწყური)
„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სულორი" (ვანი)
„ეგრისი" (ცხაკაია) — „გიგანტი" (ლაითური)
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური).

# საიუბილეო სტატისტიკა

სტატისტიკა სულ უფრო იჭრება ფეხბურთში. ამასთან, სულ უფრო მეტყველი ხდება ციფრებიც — ბევრი საინტერესო მოვლენის მოწმენი. გადის წლები და ეს ციფრები იზრდება, „მრგვალდება". ამ წერილში გვინდა ზოგიერთი მომავალი საიუბილეო მოვლენა გაგაცნოთ.

● **წლეულს**, 30 ნოემბერს, შესრულდება 100 წელი მას შემდეგ, რაც შედგა პირველი საერთაშორისო მატჩი შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის (იგი გაიმართა გლაზგოში და დამთავრდა ფრედ — 0:0).

● **75 წლის წინ**, 1897 წელს, პეტერბურგის სპორტულმა წრემ „სპორტმა" შექმნა რუსეთში პირველი საფეხბურთო გუნდი.

● **ეესსი** ათეული წლის წინ ჩამოყალიბდა რუსეთის ფეხბურთის კავშირი და იმავე წელს გახდა ფიფა-ს წევრი.

● **60 წელი** ვავიდა რუსეთის პირველი ჩემპიონატის გამართვიდან.

● **60 წლის** წინ რუსეთის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში. იგი პირველივე მატჩში დამარცხდა ფინეთთან — 1:2, ხოლო შემდეგ გერმანიასთან — 0:16.

● **50 წელია** მიმდინარეობს საბჭოთა ფეხბურთელთა საერთაშორისო მატჩები. დებიუტი ურიგო არ იყო: ზკს (მოსკოვი) — ტულ (ფინეთი) 7:1.

● **25 წლის** წინ დააწესეს სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორთათვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების გადაცემა

● **15 ივლისს** შესრულდება 20 წელი სსრ კავშირის ნაკრების პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩის გამართვიდან.

ასეთია ძირითადი საიუბილეო თარიღები, მაგრამ ამას გარდა არსებობს შედარებით მცირე მასშტაბის იუბილეებიც — გუნდების წლოვანების, კოლექტივებისა და ცალკეული ფეხბურთელების მიერ ჩატარებული მატჩების, გატანილი გოლების აღმნიშვნელი.

● **ნახევარი** საუკუნის წინ შეიქმნა საფეხბურთო გუნდი მსკ (მოსკოვის სპორტული კლუბი) — ახლანდელი „სპარტაკი". ამ გუნდზე 5 წლით უმცროსია კიევის „დინამო", ხოლო 15 წლით — „არარატი", „ნევთჩი", მინსკის „დინამო".

● **„არარატს"** ჩემპიონატების ისტორიაში 372 ქულა აქვს დაგროვილი. ეს გუნდი წლეულს ალბათ შეძლებს მე-400 ქულის მოპოვებას.

● **„ნევთჩი"** უმაღლეს ლიგაში მე-500 მატჩს გამართავს. ბაქოელებმა ჯერ 483 მატჩი ჩაატარეს, რომელთაგანაც 188 წააგეს. ისინი ალბათ შეეცდებიან ერთი წლით მაინც გადადონ უსიამოვნო იუბილე — მე-200 მატჩის წაგება.

● **მინსკის** დინამოელთა მეშვიდე ფრე მე-200 იქნება ჩემპიონატების ისტორიაში. გამორიცხული არ არის მე-200 გამარჯვებაც (ჯერ 188-ჯერ გაიმარჯვეს), მე-600 ქულა (569), მე-700 გოლის გატანა (669), მე-900 გოლის მიღება (864).

● **ლენინგრადის** „ზენიტს" შეუძლია მე-800 ქულის მოპოვება (775).

● **შესაძლებელია** როსტოველმა არმიელებმა მე-600 გოლი გაიტანონ (569).

● **„პირველი ადგილი"** იუბილარებს შორის პოტენციურად თბილისის „დინამოს" ეკუთვნის. თბილისელები უმაღლეს ლიგაში მოიპოვებენ მე-400 გამარჯვებას (397), მათ უნდა გაიტანონ მე-1500 გოლი უმაღლეს ლიგაში (1459), ჩაატარონ მე-100 შეხვედრა სსრ კავშირის თასზე (95).

ამას გარდა თბილისელები კიდევ ორი იუბილეს მოწმენი იქნებიან: ისინი კიევის დინამოელთა კარში ალბათ გაიტანენ მე-100 გოლს (99) და შეიძლება ასეთივე გოლი მიიღონ ცსკა-სგან (99).

ასევე 99 გოლი აქვთ გატანილი მოსკოვის სპარტაკელებს „ლოკომოტივის" კარში, ხოლო ტორპედოელებს — „ზენიტის" კარში — 97.

● **გ. ფედოტოვის** სახელობის „ასიანთა კლუბმა", რომელიც დღეისთვის 20 წევრს აერთიანებს, საეჭვოა შევსება მიიღოს, ვინაიდან უახლოეს კანდიდატებს ბ. აბდურაიმოვსა და ვ. ფედოტოვს შესაბამისად 81 და 79 გოლი აქვთ გატანილი. შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი ე. მალოფეევი „ასიანთა კლუბის" წევრი გახდა, მაგრამ ამაში მას ნაკრების შემადგენლობაში გატანილი 6 გოლი დაეხმარა. უმაღლეს ლიგაში ე. მალოფეევს 97 გოლი აქვს გატანილი. ამდენად მისთვის ძნელი აღარ არის ამ გოლების რაოდენობის სამნიშნა ციფრამდე აყვანა.

ბ. ბარაყანიძე.

სპორტული ქრონიკა

✦ **ზუგდიდი**

დოსაფის საქალაქო კომიტეტის პირად-გუნდური პირველობა პნევმატური თოფით სროლაში, მე-8 საშუალო სკოლის ნაკრებმა მოიგო. პირად პირველობაში ყველას აჯობა ამავე სკოლის მოსწავლე თ. როგავამ.

გ. ალშიბაია.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## გასტროლები შეწყდა

უნგრეთის ნაკრები, რომელიც ევროპის პირველობის მეოთხედფინალური შეხვედრებისთვის ემზადება, ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩავიდა სამხრეთ ამერიკაში. ეს გასტროლები სტუმართათვის ძალიან უხეიროდ წარიმართა: უნგრელებმა წააგეს 3 და ფრედ დაამთავრეს 1 მატჩი.

ასეთმა მარცხმა უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მან განკარგულება მისცა ნაკრების მთავარ მწვრთნელს რ. ილოვსკის შეწყვიტოს გასტროლები.

● ●

## თვით ბრაზილიაშიც კი...

ჭეშმარიტად ურყევია ბრაზილიელთა ავტორიტეტი ფეხბურთის სამყაროში! სად არ თამაშობენ ისინი: იტალიასა და ესპანეთში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში, სამხრეთ თუ ცენტრალური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში...

ეს ასეა, მაგრამ თვით ბრაზილიური კლუბებიც აწარმოებენ გამორჩენილ ოსტატთა იმპორტს. ბრაზილიაში ახლა 16 უცხოელი ოსტატი თამაშობს. ესენი არიან: მეკარეები მაზურკევიჩი (ურუგვაი), ჩეიესი, ანდრადე, ბუტიჩე (სამივე — არგენტინა), ანკვილერა (პარაგვაი), მცველები რ. დელგადო, პერფიუმო (ორივე — არგენტინა), ანჩეტა, კინკინეგი, ფორლანი (სამივე — ურუგვაი), ფიგეროსი (ჩილი), რეიესი (პარაგვაი), ნახევარმცველები როჩა (ურუგვაი), ხამაკო (არგენტინა), თავდამსხმელები სილვა (ურუგვაი), სკოტა (არგენტინა).

● ●

## ბოთლის სროლის ფასი — 650 ათასი ლირა

ამას წინათ მილანში მიმდინარეობდა იტალიის ჩემპიონატის მატჩი „ინტერსა" და „კატანძაროს" შორის. დებიუტანტ „კატანძაროს" კარგი შედეგები აქვს და სტუმრად გამართულ ყოველ მატჩს გულშემატკივრებიც მიჰყვებიან, მაგრამ უცხო ქალაქებში ისინი ერთობ უწესოდ იქცევიან. გულშემატკივრები ახლაც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მათი გუნდი მილანში აგებდა. და აი, ერთმა ასეთმა გულშემატკივარმა პირდაპირ სნაიპერული სიზუსტით ამოიღო მიზანში მაცოლა და თავში ბოთლი მოახვედრა.

მსაჯს მატჩი არ შეუწყვეტია. მან სამართლიანად განსაჯა, რომ „კატანძაროს" გულშემატკივრებს სწორედ შეხვედრის ჩაშლა სურდათ. „ინტერმა" გაიმარჯვა (1:0), ხოლო „კატანძარო" მისი მომხრეების უღირსი საქციელის გამო ფინანსურად დაისაჯა — 650 ათასი ლირა ჯარიმა გადაიხადა.

## მოკლედ

● **ციურიხი.** სამი უმნიშვნელოვანესი ევროპული ტურნირის — ჩემპიონთა, თასების მფლობელთა და უეფა-ს თასების ნახევარფინალების კენჭისყრა აქ 24 მარტს გაიმართება.

● **სანტ-იაგო.** ჩილისა და პერუს ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩების ვადების შესახებ. ისინი გაიმართება 1973 წლის 3 და 17 მაისს. პირველი მატჩი ჩილიში მოეწყობა.

● **მიუნხენი.** 4-5 ივნისს აქ მოეწყობა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის 16 მონაწილის კენჭისყრა. გუნდებს ოთხ ჯგუფად გაანაწილებენ. მატჩები გაიმართება მიუნჰენში, ნიურნბერგში, აუგსბურგში, პასაუსა და ინგოლსშტადტში.

● **ციურიხი.** ჰოლანდიის კლუბ „ეინდჰოვენში" მოთამაშე იუგოსლაველ მცველ რადოვიჩს უეფა-ს დისციპლინარული კომისიის დადგენილებით 1976 წლის ბოლომდე აეკრძალა ყოველგვარ ევროპულ ტურნირში მონაწილეობა. მან უეფა-ს თასის მატჩში ბელგიის „ლიერსთან" მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

● **რომი.** იტალიის უმაღლესი ლიგის გუნდების კაპიტნები პირველი წრის შემდეგ ასახელებენ მოთამაშეს, რომელმაც ამ წრეში ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი. ამ დღეებში მოეწყო ასეთი გამოკითხვა. 59 ქულით I ადგილზეა მაცოლა („ინტერი"). 44 ქულა მოაგროვა ბეტეგამ („იუვენტუსი"). III ადგილზეა ბონინსენია („ინტერი") — 33, IV — რივა („კალიარი") — 31.

● **გლაზგო.** შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციას გაისად 100 წლის იუბილე აქვს. ამ თარიღს დიდი საერთაშორისო ტურნირი ეძღვნება. პირველი მიწვევა გაეგზავნათ მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს და თანხმობაც მოვიდა.

## ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

### ათასამდე ნორჩი...

ბერლინი, 29 თებერვალი. გდრ-ის ბავშვთა და ჭაბუკთა ზამთრის IV სპარტაკიადაში საოლქო შეჯიბრებებში გამარჯვებულმა ათასამდე ნორჩმა მონაწილეობდა. ისინი სათხილამურო და საციგაო სპორტში, ფიგურულ ციგურაობასა და ციგურებით სწრაფრბენაში ასპარეზობდნენ. ტურნირები ბერლინსა და ობერჰოფში გაიმართა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადის ყველაზე უმცროსი მონაწილე 6 წლისაა. გამარჯვებულებს ჯილდოები და საჩუქრები საპოროს XI „თეთრი თამაშების" მონაწილე გდრ-ის სპორტსმენებმა გადასცეს.

# სტუდენტურ სარბიელზე

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის სარბიელზე (სოხუმი) უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზიკური კულტურის, სამედიცინო, თბილისის უცხო ენათა, სოხუმის, ბათუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების ბადმინტონისტები გამოვიდნენ. შეჯიბრებაში ტრადიციულად მონაწილეობა არ მიუღიათ თელავის, ცხინვალისა და ქუთაისის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით გასაკვირია ქუთაისელთა გულგრილობა, რომელთაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ საკმაოდ ძლიერი ბადმინტონისტები ჰყავდათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბურევესტნიკი" ჯერჯერობით ერთადერთი საზოგადოებაა, რომელიც ამ სახეობაში თავის რესპუბლიკურ პირველობას აწყობს.

როგორც მოსალოდნელი იყო, I და II ადგილებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს ფიზკულტურის მომავალმა სპეციალისტებმა. წარმატებას მიაღწიეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც, რომელთაც გორის პედინსტიტუტის წარმომადგენლებს მოუგეს (5:0) და III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ქალთა პირად შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელი პირველად დაისაკუთრა რ. ოკინაშვილმა (უნივერსიტეტი), რომელმაც მოუგო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ი. კონდრატიევას (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). ეს უკანასკნელი III ადგილზე გავიდა. მეორე იყო სოხუმელი ტ. ნიკიტინა.

ვაჟთა შორის I ადგილი შედარებით იოლად მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ალ. დავიდოვმა, რომელმაც ფინალში აჯობა თანაკლუბელ ლ. ქურხაშვილს. მესამე იყო ჩემპიონის უფროსი ძმა, ასევე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ან. დავიდოვი.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში (დნეპროპეტროვსკი) იასპარეზებს.

**გ. ამირხანოვი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

# ახალი ამბები-72

● **აშხაბადი**, 29 თებერვალი. აქ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში იუგოსლავიის გუნდმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა სსრ კავშირის მეორე ნაკრები და I ადგილი დაიკავა. III ადგილი ხვდა გფრ-ის ნაკრებს.

● **ტარვიზიო**, 29 თებერვალი. იტალიის ამ ქალაქის შემოგარენში დამთავრდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ასპარეზობის ბოლო დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ესტაფეტებში მიაღწიეს წარმატებას. 3×5 კილომეტრზე ესტაფეტა ყველაზე სწრაფად გაირბინეს ფ. ზაკიროვამ, ლ. დულოვამ და რ. რეჭემაამ—1:02.04,91. ჭაბუკებმა 3×10 კილომეტრზე იასპარეზეს. გამარჯვებულ საბჭოთა გუნდში (ა. ბოგდანოვი, ვ. ლუკიანოვი, ა. შმიგუნი — 1:54.31,59) განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბოლო ეტაპზე მოასპარეზემ, 20 წლის მოსკოველმა შმიგუნმა. ქალთა შორის II ადგილი დაიკავა გდრ-ის ტრიომ, ხოლო III — ფინელების სამეულმა. ვაჟთა ესტაფეტაში ვერცხლი ნორვეგიელებს ხვდათ (1:58.31,59), რომელთაც 15 წამით ჩამორჩნენ III ადგილზე გასული გდრ-ის წარმომადგენლები. საბჭოთა იუნიორებმა ოქროს კიდევ ორი მედალი მოიპოვეს: ტრამპლინიდან ხტომა 218,9 ქულით მოიგო ლენინგრადელმა ა. კარაპუზოვმა, ხოლო ორჭიდელთა შეჯიბრება — 415,04 ქულით ფ. ზაკიროვმა.

● **რეიკიავიკი**, 29 თებერვალი. აქ დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. I-III ადგილები გაიყვეს ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია), ფ. გეორგიუმ (რუმინეთი) და ფ. ოლაფსონმა (ისლანდია) — 11-11 ქულა 15-დან. გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ლ. შტეინი (სსრ კავშირი) და უ. ანდერსონი (შვეცია). ამ უკანასკნელმა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა. მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ტუკმაკოვმა 10 ქულით VI ადგილი დაიკავა.

● **ლინტალი**, 29 თებერვალი. შვეიცარიის ალპებში მდებარე ამ პატარა ქალაქში ორ დღეს გაგრძელდა იუნიორ ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. 15 კილომეტრზე რბოლა ზედიზედ მეორე წელია მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა ი. ჩაურსმა — 1:19.25,3 (2 საჯარიმო წუთი). ასევე კარგად იასპარეზა ა. ბოგდანოვმა. იგი 30 მონაწილიდან ერთადერთი იყო, ვინც უჯარიმოდ ისროლა და ფინიშთან მეორე მივიდა — 1:19.52,7. ერთი საჯარიმო წუთით მესამე იყო ფინელი კ. კუნტოლა — 1:21.17,8. 3×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში ყველას აჯობეს პოლონელმა ბიატლონისტებმა — 1:47.27,8. ბოლო ეტაპზე მოასპარეზე ბოგდანოვის დიდი მოწადინების მიუხედავად, საბჭოთა გუნდი ვერცხლს დასჯერდა — 1:51.13,0. III ადგილი დაიკავა გდრ-ის გუნდმა — 1:52.37,5.

## [illegible]

### რეკორდები

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ნოვოსიბირსკში გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი წყალქვეშ სწრაფცურვაში და საბჭოთა სპორტსმენებმა 6 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ოთხი სარეკორდო შედეგი გამოვაქვეყნეთ. ახლა კი გთავაზობთ დანარჩენ ორ რეკორდს. 20 წლის სვეტლანა ანიმ 200 მეტრი ფარფლებით 1 წუთსა და 53,3 წამში გაცურა, ხოლო ალექსანდრე კრიუკოვმა — 1 წუთსა და 37,1 წამში.

## „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

**ბაქო, 29 თებერვალი.** დღეს აქ შედგა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. აი, ბედნიერი ნომრები: 12 (წყალსამოტორო სპორტი), 18 (რიკაობა), 22 (ციგურები), 26 (მოტობურთი), 42 (ძალოსნობა), 43 (ფარიკაობა).

## ორი მსოფლიო მიღწევა

მსოფლიოს დახურულ სტადიონებზე გამართულ შეჯიბრებებში გრძელდება მძლეოსანთა სერიაში მსოფლიო მიღწევებზე.

ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის" სარბიელზე, შვედმა ჩ. ისაქსონმა ჭოკით 545 სმ სიმაღლე გადალახა და საკუთარი მსოფლიო მიღწევა 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ვენაში ევროპის ჩემპიონმა ი. გუზენბაუერმა (ავსტრია) 189 სმ სიმაღლე დაძლია. ესეც მსოფლიო მიღწევაა.



კანადელ სპორტსმენთა ჯგუფი იანვრის ბოლოს „თოვლის ავტომანქანებით" შეუდგა მარშრუტს: კანადა — ნორვეგია — შვეცია — ფინეთი — საბჭოთა კავშირი.

• • •

სურათზე: სპორტსმენები სტარტისთვის ემზადებიან.

იუპ-ი — საკდესის ფოტო.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

თბილისის „მედიკის" ყოფილ ფეხბურთელთა გუნდის წევრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი თანაგუნდელი

**დავით გიორგის ძე ყიფიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.